# წელიწადის დროები საბავშვო ბაღში



შექმნილია „ადრეულ ასაკში სწავლისა
და განვითარების სტანდარტის“ მიხედვით.

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ჩააკარი შენი ფოტო

სახელი ____________________________

გვარი ____________________________



გააფერადე

# ზამთარი



ზამთარი წლის ყველაზე ცივი დროა. დღეები მოკლეა და ადრე ბნელდება. ბევრ ქვეყანაში თოვლი და ყინვაა.





მცენარეები ზრდას წყვეტენ და ხეებს ფოთლები სცვივა. ზოგ ცხოველს ხშირი ბეწვი ეზრდება, რომ არ შესცივდეს. სხვა ცხოველები ზამთრის ძილს ეძლევიან.

ადამიანები თბილად იცვამენ და დროს უმეტესად შენობაში ატარებენ.

# წყვილი

აპოვნინე მეორე ხელთათმანი:



# თავსატეხი

რომელი გზით მივა მეგობართან? გააყოლე ფანქარი:



ცარიელ უჯრებში ჩახატე ნივთები, რომლებიც ზამთარს მოგაგონებს:













გააფერადე

# გაზაფხული

დღე იმატებს და თანდათან თბება. ხეებზე კვირტები ჩნდება. მცენარეები კვლავ ზრდას იწყებენ და ყვავიან.



ფრინველები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან, ბუდეებს იშენებენ და კვერცხებს დებენ.

ცხოველები წყვილდებიან და შვილებს აჩენენ. ადამიანები თბილ ამინდში სულ უფრო ხანგრძლივად გარეთ ყოფნას ამჯობინებენ.



აპოვნინე ხოჭოებს თავიანთი ყვავილები:



ცარიელ უჯრებში გადახატე ყვავილი:

